ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №17

ხარაგაული 02 მარტი 2016 წელი.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "ხარაგაულკეთილმოწყობა" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ სხილაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე"გიორგი გიორგიძე"(შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მენეჯერ ვახტანგ დვალის სახით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 02 მარტი № 1174 თანხმობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 კლასიფიკატორი – CPV-09132100-არაეთილირებული ბენზინი,

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 260-(ორასსამოცი)ლიტრი ბენზინი ევრორეგულარი (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს __351 (სამასორმოცდათერთმეტი)_ლარი 1 (ერთი) ლიტრი ბენზინი რეგულარის ფასია _1_ (ერთი ლარი35 თეთრი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს,დირექტორი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საბარათე სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის მეშვეობით. საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ხარაგაული

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნიდან 1(ერთ) დღეში დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები (5, 10 ან 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალით) ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა.

6.3 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6.4 საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 5 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7..3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობი დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)ი.პ"ხარაგაულ კეთილმოწყობა" დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის I ჩიხი #6 საიდენტიფიკაციო კოდი:443567123 სახელმწიფო ხაზინა ტელ:0433 22 11 59 მობ: 557 502940 დირექტორი: ნოდარ სხილაძე	ინდ.მეწარმე"გიორგი გიორგიძე" საიდენტიფიკაციო კოდი:60001073085 სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი :LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE38 LB0112138044223000 ტელ.: 595 94 88 94 მენეჯერი : ვახტანგ დვალი